# თავისუფალი საქართველო

№38
29 ოქტომბერი
4 ნოემბერი
1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER    TAVISUPALI SAKARTVELO    (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიპლომატიური გაბრძოლება მორიგი კომპრომისის წინ

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების გადაწყვეტილებას 23 ნოემბერს არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს ხელისუფლება ისეთი აჟიოტაჟით შეხვდა, თითქოს აფხაზეთის დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ამ არჩევნების ჩატარება-არჩატარებაზეა დამოკიდებული.

თავისთავად არჩევნები, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ აფხაზეთის ირგვლივ შექმნილი სიტუაციის სპეციფიკურობა სწორედ იმაშია, რომ არც ერთი თავისთავად სერიოზული პოლიტიკური ქმედება და განაცხადი არ ცვლის რეალურ სურათს. მეტიც, ნებისმიერი სიახლე იმგვარადაა დაგეგმილ-შემოთავაზებული პრობლემის "უხილავ" და ტაბუდადებულ შემოქმედთა მიერ, რომ კონფლიქტის არსებული სახით დაკონსერვებას ემსახურება. მოსალოდნელი არჩევნები იმდენს არაფერს მატებს აფხაზეთის "სუვერენიტეტს", რამდენსაც კონფლიქტის მონაწილეთა "მომრიგებელს": რუსეთისთვის ეს არჩევნები საქართველოს სუვერენიტეტის ეტაპობრივი შელახვის ახალ იარაღად იქცევა და თუ დღემდე ჩვენი ქვეყნის მარიონეტული რეჟიმი რუსეთის მიერ აფხაზებისთვის გამოცხადებულ "ბლოკადას" მიიჩნევდა ღვთის წყალობად და დიდ გამარჯვებად, ამჯერად ახლად არჩეული აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობის აღიარება-არაღიარება გახდება აღებ-მიცემობის საფუძველი. შესაბამისად, რუსეთს გაუადვილდება "გაჯიუტებულ" მხარეთა დაყოლიება და სტატუსის საკითხზე სასურველი შეთანხმების მიღწევა, რაც ჩვენში დაუყოვნებლივ გამოცხადდება კომპრომისების მიღწევის დიდოსტატის მორიგ გამარჯვებად.

ფაქტობრივი ხელისუფლება, როგორც მოსალოდნელი იყო, მჭუხარე განცხადებებითა და მკვახე შეძახილებით შეხვდა სეპარატისტთა გადაწყვეტილებას. ამ გაცხარებაში, ლამის დავკარგეთ ერთი მეგობარი გაერო-ს სახით, მაგრამ ვიღაც "გონიერს" თავში აზრად მოუვიდა, - გადაემოწმებინა ბრუნერის განცხადების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ გაერო-ს წარმომადგენელს სწორედ ის უთქვამს, რაც... ჩვენ გვინდა... გაერო-ს პოზიცია "გაირკვა" - იგი, თურმე, შეშფოთებულია სეპარატისტთა განზრახვით და აცხადებს, რომ ამგვარი არჩევნების დანიშვნა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვით, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრით და ამ არჩევნებში აფხაზეთის მკვიდრი ყველა ადამიანის მონაწილეობით.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც, მართალია, "აფასებს" საერთაშორისო საზოგადოებისა და მსოფლიოს პოლიტიკური წრეების "მხარდაჭერას", ძველებურად რუსეთზეა მინდობილი და გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ მის ნება-სურვილს ანიჭებს. "ისევე როგორც არ შეიძლებოდა რუსეთის გარეშე, გნებავთ, მისი ულტრარეაქციული ძალების გარეშე აფხაზეთის კონფლიქტის გაჩენა და ასე ტრაგიკულად დამთავრება, ასევე შეუძლებელია რუსეთის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება" - აცხადებს ვ. ლორთქიფანიძე. ეს უცნაური აზროვნების ნიმუში კი იმას მოწმობს, რომ აფხაზეთის გარშემო გაჩაღებულ ნებისმიერ კამპანიას სწორედ რუსეთის ინტერესები უდევს საფუძვლად. ამჯერად ეს ინტერესები აფხაზური მხარისგან თავისი "ლეგიტიმურობის" დამადასტურებელ არჩევნებს, ხოლო საქართველოსგან - მორიგ "დიპლომატიურ გაბრძოლებას" მოითხოვს...

გარდა ამისა, მმართველი რეჟიმი ამ ანტისაარჩევნო კამპანიით ცდილობს დევნილი მოსახლეობის ინტერესებისა და მოქმედების მოქცევას საკუთარი კონტროლის ქვეშ - როცა იგი თავად აწარმოებს ფსევდოპატრიოტულ ფაციფუცს პრობლემის დროულად გადაჭრის ლოზუნგით, მოსახლეობის ყურადღებაც, ძალაუნებურად, მისკენაა მიპყრობილი და ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა თუ ქმედების პასიურ შემყურედ და მომლოდინედ იქცევა. მას აღარ შეუძლია და აღარც სურს საკუთარ თავზე აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, თავადვე უწამლოს სატკივარს, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად ესმის - ფაქტობრივი ხელისუფლებისგან კარგს და სასარგებლოს არაფერს უნდა ელოდო...

ხელისუფლებას, რასაკვირველია, ხელს აძლევს მხარეებს შორის დღეს არსებული ბალანსის შენარჩუნება, თავისი ყველა ატრიბუტით - ნადარეიშვილ-არძინბას "სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული" ტანდემით, ორი უზენაესი საბჭოთი, ორი მთავრობით...

გარდა ამისა, მორიგი მაქსიმალური კომპრომისის წინ (რაც, ალბათ, პირველ რიგში სტატუსთან იქნება დაკავშირებული), ქართველ მარიონეტზე მაქსიმალური ზეწოლის ილუზიის შექმნაა საჭირო, რათა კომპრომისთა ხელოვნების მესაიდუმლეს კიდევ ერთხელ მიეცეს საკუთარი ონტატობის დემონსტრირების შესაძლებლობა. ამიტომაცაა, რომ ეს უკანასკნელი ძალზე დინჯად ეგებება ამ არჩევნებს - მაშინ, როდესაც სხვები ყაყანებენ, ნერვებს იგლეჯენ, თავს იმტვრევენ - "დიდი დიპლომატი" ფიქრობს და ნაფიქრ-ნააზრევს დიპლომატიურ პარადოქსებად გადმოაფრქვევს. მისი აზრით, აფხაზები ამ არჩევნებით დაკარგავენ ლეგიტიმურობის იმ ელემენტსაც, რომელსაც სოხუმში დარჩენილი დეპუტაციის მცირე ნაწილი წარმოადგენს. ეს გარემოება კი, შევარდნაძის აზრით, ნადარეიშვილის უზენაეს საბჭოს აქცევს ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოდ.

თუ ცნობილი პოლიტიკოსის ამ მორიგ შორსმჭვრეტელურ აზრს კიდევ ერთხელ გამოვუცხადებთ ნდობას, მაშინ სრულიად გაუგებარია ის ვნებათაღელვა, რომელიც ატეხილია ჩვენში ამ არჩევნების გამო. კონკრეტულად რას მოიმოქმედებს მარიონეტული რეჟიმი, ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, მოსალოდნელია საპასუხო არჩევნების ჩატარება დევნილ მოსახლეობაში. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ დააკანონებს არსებულ სიტუაციას - აფხაზეთს, ერთის ნაცვლად, კვლავინდებურად ორი ხელისუფლება ეყოლება - ორივე "ლეგიტიმური", ორივე "არჩეული"... პრობლემა შეიძლება მხოლოდ ის გახდეს, რამდენი თავმჯდომარე ეყოლება თბილისში "მოღვაწე" აფხაზეთის დევნილ უზენაეს საბჭოს...

*ნუგზარ წიკლაური*

## გააზნაურებული მდაბიოს უკანასკნელი მასკარადი

### მან თბილისელობა მიზნად დაისახა და მის მისაღწევად გაყიდა მთელი ქვეყანა...

... და, სხვათა შორის, დააქცია თავად თბილისიც.

ეს არ არის პროვინციალის კომპლექსი. ეს უნიჭობის დაავადებაა, გულბოროტი უნიჭობის; ავადმყოფობა, რომელსაც ვერ შველის ვერანაირი ტრანსნაციონალური მნიშვნელობის პრეპარატი, ვერც ნიუ-იორკის ბირჟაზე ლიდერობა, ვერც ამსტერდამელ იუველირთა ბრილიანტების ელვარება, ვერც კანარის კუნძულები, ვერც ნიცა, ვერც პარიზი... ნიჭიერთ კი არც ჩარგალში და არც სიმონეთში არ აწუხებთ ეს სენი, რომელიც, თურმე, გადამდებიცაა.

რა არის გასაკვირი იმაში, რომ ძალადობაზე დაფუძნებულ სისტემაში, რომლის სავიზიტო ბარათად სულიერი იმპოტენცია უფრო გამოდგება, ვიდრე გამორჩეული ინდივიდუალობა, და სადაც ჩინებულად იქნა დამუშავებული სისუსტეებით ადამიანთა მართვის მექანიზმი, ყველაფრის ფლობის შესაძლებლობა ეძლევათ* არრის მცოდნეთ, საკუთარ ფესვსა და ყოველივე წმინდას მოწყვეტილთ. არც ისაა გასაოცარი, რომ ასე ადვილად ემონენ აქ მდაბიურ სინდრომს "უკომპლექსო თბილისელნი", "აზრიანი და გამგები ბიჭები", აიტაცეს და მიაბნიეს გულზე დეკადანსური სიმბოლოსავით, რადგან თავად ეს "სოციალური სიმბოლიზმი" პირმშოა იმ ცრუფასეულობებისა, რომელთა რიგში ახლა უკვე თბილისიც მოხვდა - ქალაქი მრავალტანჯული, მრავალგზის იავარქმნილი, თვალწამტაცი და შემზარავი ხატი მშვენიერი ქვეყნისა, მისი ჭირისუფალი და მისი მესაფლავე.

მაგრამ რა არის "თბილისობა"? იქნებ ესეც სიმბოლოა, თეატრალური ფიცარნაგი, სადაც ხატოვნად გათამაშდება ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი ტრაგედიების დრამატურგია? დახეთ, რიყე - ოდესღაც კოლორიტული უბნის სამარცხვინო ნაშთი, რომლის გატიალებულ სივრცეზე საქართველოს დეკორაციაა მოწყობილი - რესტორნებად, დუქნებად, სავაჭრო დახლებად... განა ეს არ არის სიმბოლო ქალაქ-აჩრდილისა, რომელშიც დაკარგული ქვეყნის აჩრდილები დაბორიალებენ? შიდა ქართლმა და აფხაზეთმა აქ უკვე დაიდო ბინა - იქნებ სამუდამოდაც კი. რომელია შემდეგი?

"თითქოს მთელი საქართველო აქ ჩამოხტაო" - გვამცნობს ახალგაზრდა დიქტორის უზრუნველი ხმა და ეს კრიალა სოპრანო უკვე შემზარავ წინასწარმეტყველებად ჟღერს. მშვენიერი ქვეყანა პატარა დეკორაციებში.

გააზნაურებული მდაბიო კი კვლავ გვპირდება მილიონ სამუშაო ადგილს და გამოსავალსაც გვთავაზობს: ფართოდ გახსენით სახლის კარები "ველური ტურიზმისთვის" - ამით შეგვიძლია მილიონობით ადამიანი დავაპუროთო. აი, თუ არ ასრულებენ დანაპირებს! და მას დაუჯერებენ კიდეც: ერთნი დასახავენ მიზანს, მეორენი კი, თუნდაც თავის გადასარჩენად, მორჩილად აღასრულებენ. აბა სხვა რა გზაა?

ზეიმები და სისხლმდენი ჭრილობები, გამძღარი სტუმრები და დამშეული ერი, მწვალებელი მღვდელმთავრები და უფლის სიტყვას მონატრებული მრევლი - ყველაფერი ერთ ფანტასმაგორიულ, სატანურ მასკარადში ითქვიფება. საშველი კი არ ჩანს...

სიცოცხლის ძალას იძლევა მხოლოდ იმედი იმისა, რომ ჯვარცმას გარდუვალად მოჰყვება აღდგომა და ეს მასკარადიც უკანასკნელი იქნება გააზნაურებული მდაბიოს მიერ გაშენებულ დეკორაციების ქალაქში.

*რომანოზ საგინაშვილი*

## ვინც ქვეყანას არჩევს

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს პროკურატურაში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელზედაც გენერალური პროკურორის მოადგილემ, ანზორ ბალუაშვილმა, ჟურნალისტებს წარუდგინა "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" აწ ყველასთვის ცნობილი მოწმე, გელა ქაცარავა. ჩანს, პროკურატურის პრესცენტრმა ჟურნალისტთა მოწვევა შერჩევით გადაწყვიტა და სწორედ ამიტომ, პრესკონფერენციის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი რიგი გაზეთები და ის ჟურნალისტებიც კი, რომლებმაც ამას წინათ, ხობში ინტერვიუ აიღეს გ. ქაცარავასგან. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ სწორედ ამ ინტერვიუს უარყოფას ისახავდა მიზნად პროკურატურის ეს ღონისძიება. მართლაც რომ ღონისძიება, ვინაიდან, როგორც იტყობინება გაზეთი "რეზონანსი" (№204; 24.10.96), გ. ქაცარავა კვლავ პოლიციის თანამშრომლის თანხლებით იყო ჩამოსული და კვლავ აცხადებდა, რომ თავისი თვალით ნახა, როგორ დახვრიტა ვახტანგ ქობალიამ ჟურნალისტი დავით ბოლქვაძე. ქაცარავამ უარყო მის მიერ მიცემული ინტერვიუ, რომლის თანახმად, მან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში მისცა ქობალიას საწინააღმდეგო ჩვენება და რომ ეს ზეწოლა ხორციელდებოდა როგორც ხობის პოლიციაში, ისე შსს-ში და თვით მოსამართლე ალადაშვილის სახლში.

"არ ვყოფილვარ მოსამართლესთან, მისი სახლი არ ვიცი სად არის. არც ვინმესთვის მიმიცია რაიმე ინტერვიუ... რაც არ მითქვამს, ამაზე როგორ მიჩვენებენ ფონოგრაფიულ ჩანაწერს?" - აცხადებს ქაცარავა. ამასთან ერთად კი, გაზეთის "დრონი" კორესპონდენტი გვამცნობს (№83, 25-29.10.96), რომ "ახალ თაობას" ხელთ აქვს გელა ქაცარავას ინტერვიუს ჩანაწერი, რომელიც ჩვენც მოვისმინეთო".

ამდენად, მოწმე და მასთან ერთად პროკურატურა კვლავ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა: თუ მოწმეს ინტერვიუ საერთოდ არ მიუცია, მაშ საიდან აღმოჩნდა ჩანაწერი? ის მაინც ეთქვა, როგორც ადრე, ზვიადისტებმა ძალით მათქმევინესო. მაგრამ, ჩანს, პროკურატურა უკვე ხვდება, რომ მისი ღონისძიებების ფონზე, ზვიადისტთა საფრთხეც კი ფერმკრთალდება.

ჩვენ იმთავითვე არ გვეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ქაცარავას ინტერვიუს შემდეგ ბრალდების მხარე მიიღებდა სათანადო ზომებს. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციების - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" და "ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა" - მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე განვაცხადეთ, რომ მოწმე გელა ქაცარავა საჭიროებს საზოგადოებრივ დაცვას; მოვუწოდეთ ამ ორგანიზაციების მესვეურებსა და ჟურნალისტებს, შეხვედროდნენ ტერორის ქვეშ მყოფ მოწმეს და შეექმნათ პირობები, რათა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მას მიეცა ნამდვილი ჩვენება.

ჩანს, პროკურატურას არა მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიის ცოდნაში ჰქონია პრობლემები: აწ უკვე ცნობილ ანეკდოტზე (როგორ მოაქცია ალყაში სოხუმი კანონიერმა გვარდიამ აფხაზების მაგივრად) არანაკლებ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ანზორ ბალუაშვილის განცხადება - "მე რომ მკვლელობისთვის მეყურებინა, არ მოვყვებოდიო" - და ქაცარავასადმი ნათქვამი - "შენისთანა ხალხი არჩენს სამშობლოს". ნუთუ გენპროკურორის მოადგილე, მოწმე რომ ყოფილიყო, არ გადაარჩენდა სამშობლოს?!

მისი ნათქვამიდან გამოდის, რომ ზვიადისტებს მთელს სამეგრელოში დაუშინებიათ მოწმეები, რათა "სიმართლე" არ გამჟღავნებულიყო, ახლა კი იქით სდებენ ბრალს პროკურატურას. თანაც "ზვიადისტები ამას ქობალიას გადასარჩენად კი არა, ქვეყნის შესარყევად აკეთებენო". საკითხავია მხოლოდ - რას? იმას, რომ თვით ბრალდების მიერ მოყვანილმა მოწმეებმა, სასამართლოზე მიცემული ჩვენებებით, ქვეყნის სასაცილოდ აქციეს პროკურატურაც და სასამართლოც?

ერთში კი ნამდვილად არ ცდება ა. ბალუაშვილი: დალტონიკების, ახლომხედველების, ფსიქიურად დაავადებულების, ან, უბრალოდ, ადგილობრივი პოლიციის მიერ დაკითხვისას გვარიანად ნაცემი მოქალაქეების ცრუმოწმეებად მოყვანით, პროკურატურამ და სასამართლომ გამოააშკარავა ქვეყანაში დანერგილ დანაშაულებრივ პრაქტიკაზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც ძალუძს, ყოველგვარი ლოგიკისა და რეალობის საწინააღმდეგოდ, ნებისმიერ მოქალაქეს დაუმტკიცოს ნებისმიერი დანაშაული. ამ უნებლიე მხილებით, მართლაც, საგრძნობლად შეირყა არსებული ხელისუფლების ისედაც ილუზორულ ძლიერებაზე დამყარებული საფუძვლები, რისთვისაც, საფიქრალია, სულ მალე პასუხისგებაც მოუწევთ ხსენებული უწყებების მესვეურთ.

*ანა ჭავჭავაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორუფცია - მანკიერი სინამდვილის შეურნებელი სენი

ჩვენი საზოგადოება მუდამ შედგებოდა მოაზროვნე ინდივიდებისგან, იგი არასდროს ყოფილა რაღაც ამორფული, უსახო მასა. ეს თვალსაჩინოდ ვლინდება [illegible] საქართველოში ყველა ცდილობდა [illegible] გარემოცვაში. [illegible] ამ-ალში.

საქართველოში - ქვეყანაში, სადაც თვით ისეთი ასოციალური ფენებიც კი საზოგადოებაში, როგორიც კრიმინალურ-მაფიოზური სამყარო წარმოადგენს [illegible]

სისტემამ, რომელიც თავის სამსახურში [illegible] (რაშიც მათი მართვა უფრო ადვილი იყო) [illegible]

საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ეს ფიქცია მისაღები გახდა. [illegible] ძლევამოსილ ჩინოვნიკთა (და მათი გარემოცვის) მთელი კასტა.

და მაინც, ვინ არიან ისინი, ამ დაუსჯელობის სენით შეპყრობილნი, პრივილეგიებით დაჯილდოებული ბედის ნებიერნი, საქართველოს დღევანდელი მმართველნი?

ცოტა მეცნიერული ელფერი რომ მივცეთ წერილს, განვმარტოთ სიტყვა **პრივილეგია** (ლათ.) - განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა, რომელიც მინიჭებული აქვს ვისმე სხვებისგან განსხვავებით. უპირატესობა, რომელიც ყველაფერში ვლინდება, თვით ისეთ მარტივ "აქსესუარში", როგორიც არის საავტომობილო ნომრების სერიები - არსებობს "ხელშეუხებლობის" უფლებით ნიშანდებული სერია, რომელიც წინასწარ არის შეთანხმებული პოლიციასთან. საგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში ამ მანქანების გაჩერებას არავითარი აზრი არა აქვს, ვინაიდან ამით მხოლოდ რიგით პოლიციელს შეიძლება შეხვდეს უსიამოვნება და არავითარ შემთხვევაში თავად მძღოლს. ვინ სარგებლობს ამგვარი პრივილეგიებით? ცხადია, მმართველი ეშელონების ნათესავები, მმართველი პარტიის ხელმძღვანელები და მათი კლანების წევრები. ზოგიერთმა მთავრობის წევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ ტერმინი მინისტრი პირდაპირი მნიშვნელობით მოსამსახურეს ნიშნავს, ე.ი. ხალხის მსახურს და არა პირიქით.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენთან არასოდეს ჩატარებულა მიტინგები ან სერიოზული გამოსვლები ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ამის ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ქართველი კაცი ბუნებით თავმოყვარეა და მეორე - კომუნისტურმა, უფრო სწორად, სოციალისტური წარმოების წესმა ყოველი ჩვენგანი გასვარა, გამიზნულად ჩაითრია თავის აღებ-მიცემობის მანკიერ სისტემაში და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დამნაშავედაც კი გრძნობს თავს, რომ ნაწილია ამ მახინჯი მთლიანობისა. კომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკის ეს ქვაკუთხედი თითქმის უცვლელი სახით გადმობანაკდა დღევანდელი საქართველოს რეალობაში. სხვაგვარად ხომ ძნელი ასახსნელი იქნებოდა, რა საფუძველს ეყრდნობა ოფიციალური პირი, რომელიც რადიოთი თუ ტელევიზიით მოითხოვს გადასახადების გადახდას მოქალაქეებისგან, რომელთაც რვა-ნახევარი ლარი აქვთ ხელფასი (ამ დროს, ოფიციალური მონაცემების თანახმად, სიღატაკის ზღვარი საქართველოში 120 ლარით განისაზღვრება)? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მთავრობა უბიძგებს ადამიანს, მოიპაროს ან იმათხოვროს?

**რა საფუძველს ეყრდნობა ოფიციალური პირი, რომელიც რადიოთი თუ ტელევიზიით მოითხოვს გადასახადების გადახდას მოქალაქეებისგან, რომელთაც რვა-ნახევარი ლარი აქვთ ხელფასი? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მთავრობა უბიძგებს ადამიანს, მოიპაროს ან იმათხოვროს?**

სამოცდაათი წლის მანძილზე მოხდა ცნება პატიოსნების სრული დესემანტიზაცია. ალბათ, ამ საკითხზე გამოკითხვა რომ ჩატარდეს, ძალზე განსხვავებულ პასუხებს მივიღებთ. მოკლედ, პატიოსნებას ესაჭიროება ხანგრძლივი რეაბილიტაცია.

ადამიანების გადაგვარების ამ პროცესში უპირველესი როლი, რასაკვირველია, მექრთამეობა-წილოსნობამ ითამაშა. **ქრთამი არის ეროვნული სიმდიდრის არალეგალური გადანაწილება კორუმპირებული კლანების სასარგებლოდ.**

რითი არის საშიში კორუფცია ქვეყნისთვის? როგორც ყველაზე მაღალი ხარისხის ფოლადს კოროზია აქცევს ჟანგის ნაფშვენად, ასევე კორუფცია სპობს კანონიერებას, ქმნის ხელისუფლების მექანიზმის საბოლოოდ პარალიზებას, რყვნის ადამიანებს. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს კორუფციას ჩვენს პირობებში, როდესაც ქვეყნის მოქალაქეებს ჯერ კიდევ ვერა აქვთ გაცნობიერებული მოქალაქეობრივი დამოკიდებულება საქმისადმი, ვინაიდან ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში არ გააჩნდა სახელმწიფოებრიობა.

რუსეთის სატელიტ ქვეყნებში პოლიტიკურ კლიმატს კვლავ ყოფილი კომუნისტი-ფუნქციონერები აკონტროლებენ პოლიციური ხერხებით, თუმცა, სხვა ხერხები არც იციან. ეკონომიკას საბჭოთა სისტემის "ჩრდილოვანი" ეკონომიკიდან მოსული ვითომბიზნესმენები და კომერსანტები უდგანან სათავეში. კულტურას ისევ საბჭოთა რეგალიებით შემკობილი მლიქვნელ შემოქმედთა კოჰორტა წარმართავს. მეცნიერება, შეიძლება ითქვას, სრული დეგრადირების პირას არის მისული.

ფაქტობრივი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ძველებურად აკონტროლებს მრეწველობას, ენერგეტიკას, ტრანსპორტს. მოხდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის პრივატიზება, მეტის დაშვება ხელისუფლებას აღარ აწყობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რითი უნდა გამოიკვებოს ბიუროკრატების უზარმაზარი არმია?

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ბანდფორმირებები, რომელთა ქმედებები სანქციონირებული იყო ზევიდან, აყაჩაღებდნენ და თავხედურად აწიოკებდნენ მოსახლეობას. "ბანანის" რესპუბლიკაში (დამოუკიდებელში, თუ დსთ-ს აბრევიატურას დავუჯერებთ), ბოლოს და ბოლოს, მოიშორეს უკვე ფუნქციადაკარგული მაშველთა კორპუსი (საშველი აღარ დარჩა), მაგრამ ახლა უკვე თვით სახელმწიფოს მაკონტროლებელი ორგანოები გადაიქცნენ ისეთ ურჩხულებად, როგორიც არც კი წარმოედგინათ მათ წინამორბედებს. სახელმწიფო რეკეტირებს არ დასჭირდათ რაიმე სპეციალური სკოლის გავლა, მათ დიდი კომკავშირულ-კომუნისტურ-კაგებეშნიკური ალმა მატერი ჰქონდათ დამთავრებული და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ გაპარტახებულ, მაწანწალებისა და მათხოვრების ქვეყანაში, ტრადიციულად, ნუვორიშებმა დაიწყეს ბინებისა და აგარაკების ფორსირებული შენება, ავტომობილებისა და ძვირფასეულობის შეძენა.

აქედან გამომდინარე, პატიოსანი ბიზნესმენობა, რომელიც მთელ მსოფლიოში მომგებიანია, საქართველოში ეკონომიკურად წამგებიანი აღმოჩნდა. ფასეულობათა შკალაზე პირველ ადგილს ისევ პრივილეგია ჩემულობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მშვენიერი ქვეყანა და მისი მკვიდრნი, რომელნიც ნიჭიერებით, სილაღით, განუმეორებელი თვითმყოფადობით გამოირჩევიან, ახლო მომავალში კვლავაც 'ერთასახოვანი, უფერული, მაგრამ პრივილეგირებული მასის უნიჭო მმართველობის ქვეშ დარჩებიან, რაც ბუნებრივად გააღრმავებს უფსკრულს გაბატონებულ კლანსა და მოსახლეობას შორის.

*გიორგი დავითაშვილი*

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

## ინტერვიუ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრთან, მარკ ალმონდთან

**(დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო №34, 35, 37)**

კორესპონდენტი: - **მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, დიდი სხვაობა არ ყოფილა დასავლეთის დამოკიდებულებაში ჩეჩნეთისა და საქართველოს მიმართ, პრესის დამოკიდებულება მაინც განსხვავებული იყო. ჩეჩნეთთან მიმართებაში თითქოს მეტ სიმპათიებს ამჟღავნებდა მას მედია.**

მარკ ალმონდი: - მართალი ბრძანდებით. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის პოლიტიკოსები ჩუმად, მაგრამ მაინც უჭერდნენ მხარს იმას, რასაც რუსეთის მთავრობა სჩადიოდა ჩეჩნეთში, პრესა უფრო კრიტიკულად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ. აქ გადამწყვეტი, ალბათ, დროის ფაქტორი იყო. დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ხუთი წლის მანძილზე რუსეთში და იმ არეალში, სადაც რუსული პოლიტიკა ვრცელდებოდა, მსგავს პოლიტიკურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ზვიად გამსახურდიას განდევნას სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა აზერბაიჯანში, რესპუბლიკების სათავეში კომუნისტები დაბრუნდნენ - მხოლოდ ამიერკავკასიაში კი არა, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე. რუსეთი აშკარად მიესალმებოდა კომუნისტების მოსვლას ხელისუფლების სათავეში, ხშირად კი ეს მისი ღია ჩარევით ხორციელდებოდა. ტაჯიკეთში, ავღანეთში, იუგოსლავიაში და ჩეჩნეთში მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი. სისასტიკე და კანონის უგულებელყოფა რუსეთის მხრიდან, კანონზომიერებად იქცა. ჟურნალისტებმა ნახეს სერბიაში გროტესკული თვალთმაქცობა ხალხისა, რომელთაც აცვიათ კომუნისტური უნიფორმები წითელი ვარსკვლავებით. მათ პატრიარქები ლოცავენ და ისინიც ისე იქცევიან, თითქოს ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. წამდაუწუმ პირჯვარს იწერენ, ზოგჯერ არც კი იციან პირჯვრის გამოსახვა. რუსეთშიც იგივე ხდება. რაც დრო გავა, მით უფრო თვალსაჩინო გახდება წინააღმდეგობა რუსეთის ნამდვილ სახესა და იმ იმიჯს შორის, რომელსაც დასავლეთი უქმნის მას.

სამწუხაროდ, 1990-91 წლებში, როცა საქართველოში მოხდა ხელისუფლების დამხობა, აზრი რუსეთის შესახებ ერთგვაროვანი იყო. გორბაჩოვი დემოკრატიის ქომაგად იყო გამოცხადებული. ეს გაუნათლებელი კაცი, რომელიც რუსულადაც კი მლივს ლაპარაკობდა, არათუ ამჯობინეს საქართველოს პრეზიდენტს - უგანათლებულეს ადამიანს, არამედ ლამის ველურად შერაცხეს კაცი, რომელიც, გორბაჩოვისგან განსხვავებით, დასავლეთის უმრავლეს ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა.

ასე რომ, გამსახურდია უეჭველად გახდა მსხვერპლი დროისა და... თავისი საკუთარი წარმატებების. იგი ძალაუფლებაში მოვიდა საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში, მაგრამ როგორც ამას დასავლეთიდანაც კარგად ხედავდნენ, იგი თვითონ იყო ამ დაშლის ერთ-ერთი მონაწილე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი არასდროს აღიარებს ამას, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ გადატრიალება შევარდნაძემ მოაწყო. შევარდნაძე კი მათი გმირი იყო და ამიტომაც, ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი მის დაბრუნებას ხელისუფლებაში. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დაბრუნება სამშობლოში პოზიტიურ მოვლენად იყო მიჩნეული. ახლა, რა თქმა უნდა, აღარავის სურს მისი სახელი ასოცირდებოდეს გადატრიალებასთან.

კორ. - **თქვენ მოხსენებას ამზადებთ ევროსაბჭოსთვის, მასში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, შეცვლის რაიმეს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის შესვლა ამ გაერთიანებაში?**

მ.ა. - ევროპის საბჭო არის ორგანო, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნებს მათი ვალდებულებების საფუძველზე დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ამ თანამეგობრობის წევრი, თუ იგი არ იცავს დემოკრატიულ პრინციპებს - ღია არჩევნებისა და პრესის თავისუფლებას, ურთიერთობის თავისუფლებას და ადამიანის უფლებების პატივისცემას, იმ ადამიანების უფლებების დაცვის ჩათვლით, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

ვფიქრობ, რომ პოსტსაბჭოური სივრცის მთავრობები ევროსაბჭოში გაერთიანებას უყურებენ როგორც პირადი პრესტიჟის საქმეს. თითქოს ეს იყოს გზა დამატებითი პატივის მოსაპოვებლად. მაგრამ არ არის გამორიცხული არაპირდაპირი სარგებელიც, რაც, შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყოს. მე ეკონომიკურ სარგებელს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. თუ ეს ქვეყნები ევროსაბჭოში გაწევრიანდნენ, ბევრი ევროპელი იფიქრებს, რომ ეს სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნებია, რომ აქ არამარტო ადამიანის უფლებები, არამედ საკუთრების უფლებებიც დაცულია და ისინი სერიოზულად გადახედავენ კაპიტალის ინვესტირების საკითხს.

იქნება თუ არა ეს სასარგებლო საზოგადოებისთვის, სულ სხვა საკითხია. ჩემი აზრით, საზოგადოება, რომლის მმართველობის სისტემა არ არის ნამდვილად დემოკრატიული, დაინტერესებული უნდა იყოს ევროსაბჭოში გაწევრიანებით. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში (რომელსაც ჩვენ შეიძლება პოლიტიკური ვუწოდოთ), რადგანაც საქართველოსა და სომხეთშიც, მათი საქმეები იხილება უზენაესი სასამართლოს მიერ. ამ ქვეყნებში არ არსებობს სააპელაციო სასამართლო. გამოძიების შემდეგ, რომელიც ძალიან ხშირად დაკავშირებულია უსასტიკეს შეპყრობასთან, განსასჯელი პირდაპირ სასამართლო პროცესზე ხვდება. ორივე ქვეყანაში ხშირია სასიკვდილო განაჩენი, ხოლო ევროსაბჭოს წევრობა გულისხმობს ორ რამეს: უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებას - გაუქმდეს სასიკვდილო განაჩენი და შესაძლებლობას - მსჯავრდადებულებმა თხოვნით მიმართონ ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტრასბურგში, რათა იქ განიხილონ მათი საქმეები. ეს სააპელაციო სასამართლოა.

ნებისმიერი საქმე, რომელიც შეიცავს სასიკვდილო განაჩენს, ავტომატურად ღიაა აპელაციისთვის. უამრავ ადამიანს, ვინც პოლიტიკური ხასიათის ბრალდებებით, პროკურატურის წყალობით, დასასჯელად არის განწირული, შეეძლება თხოვნით მიმართოს სტრასბურგის სააპელაციო სასამართლოს, როგორც კი საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდება.

უმრავლეს ქვეყნებში რამდენიმე საფეხური არსებობს, სერიოზული დანაშაულებების ჩადენისასაც კი. მე რომ შეთქმულებას ვაწყობდე ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ და ნაღმებს ვუდებდე თანამდებობის პირებს, თავიდან მაგისტრატი გამასამართლებდა, რომელიც გადაწყვეტდა ღირს თუ არა ამ საქმის მოსმენა, შემდეგ ჩვეულებრივ სასამართლოში გამაგზავნიდნენ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაფიც მსაჯულთა საბჭო გადაწყვეტდა, რომ დამნაშავე ვარ, მექნებოდა უფლება, გამესაჩივრებინა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში. არსებობს კიდევ ერთი საფეხური - კანონის ლორდები (მოსამართლეები ლორდთა პალატაში)- და მხოლოდ ამის შემდეგ მივმართავდი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოს. ხოლო საქართველოში, სადაც გამოძიებიდან განაჩენის გამოტანამდე მხოლოდ ერთი საფეხურია, საერთაშორისო სააპელაციო სასამართლო სასურველი კი არა, აუცილებელია.

ახლა, რაც შეეხება წამების საკითხს - ნებისმიერი პიროვნება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ ნაწამები იყო დაკითხვისას, დაპატიმრების მომენტში ან შემდეგ, უეჭველად გათავისუფლებული იქნებოდა ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ იმის საფუძველზე, რომ ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენებას.

ევროსაბჭო მოითხოვს მასში შემავალი ქვეყნების მთავრობებისგან, დაემორჩილონ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებს და იმოქმედონ იმ პრინციპების შესაბამისად, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოში შესვლისას. მაგრამ, საუბედუროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. მრავალი წლის განმავლობაში თურქეთი არღვევდა ხელშეკრულებას. დღესაც კი, თურქეთის პოლიცია არ ემორჩილება ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დეკლარაციის ძირითად პრინციპებს. რუსეთი იმ პირობით გააწევრიანეს ევროსაბჭოში, რომ გააუქმებდა სასიკვდილო განაჩენს. სინამდვილეში კი, იანვრის თვიდან სასიკვდილო განაჩენებმა იმატა. უკრაინა სიკვდილით დასჯილთა რაოდენობასაც კი არ ამხელს. მოკლედ, არსებობს იმის საშიშროება, რომ ისეთი ქვეყნების მთავრობებმა, როგორიცაა სომხეთი და საქართველო, იგნორირება გაუკეთონ თავიანთ ვალდებულებებს.

ასე რომ, ჩემი აზრით, ევროსაბჭოს წევრობას არ უნდა შევხედოთ როგორც ადამიანის უფლებათა პრობლემების გადაწყვეტის პანაცეას საქართველოსა და სომხეთის მსგავს ქვეყნებში. აქ მაინც უამრავი საქმე დარჩება გასაკეთებელი, რათა შეიზღუდოს პატიმართა უფლების უხეში ხელყოფა, საგადასახადო სისტემის ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობა, რომელიც ვიღაცას უპირატესობას ანიჭებს, სხვებს კი ჩაგრავს.

კორ. - **რა შთაბეჭდილება შეგექმნათ სომხეთის არჩევნების შესახებ?**

მ.ა. - სომხეთის 1995 წლის (საპარლამენტო) და 1996 წლის (საპრეზიდენტო) არჩევნებს შორის იგივე სხვაობა იყო, რაც საქართველოს 1992 და 1996 წლების არჩევნებს შორის. ქაოსი და არეულობა აშკარაა. 1995 წლისთვის დამახასიათებელი უწესრიგობანი და დამახინჯებანი ამჯერად არიდებულ იქნა. ვიღაცას, ვინც ზერელედ ადევნებს თვალს საქმის ვითარებას, შეიძლება მოეჩვენოს, რომ სომხეთში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ არის. ზემოთქმული, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად გაიზარდა (ან დაიხვეწა) პრეზიდენტისა და პარლამენტის შესაძლებლობები, რაც აისახა არჩევნებზე მანიპულირების პროცესზე. ასე რომ, უწესრიგობა ბევრად მეტი იყო, რადგანაც წელს ხალხს ბევრად ნაკლები შანსი ჰქონდა, პროტესტი გამოეხატა ხმის მიცემის პროცესში არსებული დამახინჯებებისა და მანიპულირების წინააღმდეგ.

(გაგრძელება მე-4-ე გვერდზე)

**თბილისი, უზენაესი სასამართლო, 1996 წლის 16 ოქტომბერი. "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" (№ 7495927) სასამართლო განხილვაზე ადვოკატები გამოვიდნენ დაცვითი სიტყვით**

# მუშამდგომლობ, განთავისუფლებულ იქნეს ვახტანგ ქობალია

**ოთარ ფანქველაშვილი - ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ადვოკატი**

### დეზინფორმაცია ბრმების ქვეყნისთვის

პატივცემულო სასამართლო კოლეგიავ! პროკურატურამ არ იკმარა ის ცილისწამებანი, რითაც გაჟღენთილია საქმე № 7495927 [illegible] ... გზაში დაიღუპა 346 ადამიანი. დევნილებმა დაკარგეს ქონება, ხოლო მებრძოლებმა - "შეიარაღება და სხვა აღჭურვილობა". [illegible]

მოწმე ნოდარ ნათაძე: "ლტოლვილები სოხუმიდან მოდიან კოდორის ხეობით, სადაც რკინიგზის ხიდია. როცა კოდორი გადაკეტილია მტრების მიერ, ვერც ოჩამჩირემდე ჩახვალ და ვერც ზუგდიდამდე. ასე რომ, ერთადერთი გზაა ზუგდიდისკენ - ჩახვიდე ჭუბერში და მერე - ჯვარში. როცა ვკითხულობდი, რომ ქობალიას ხალხმა გადაკეტა გზა და არ მოხერხდა ხალხის გამოყვანა, მიკვირდა, ვისთვის იყო ეს დეზინფორმაცია. ვიქრობდი, რომ ბრმების ქვეყანაა. არ შეიძლება ეს ცილისწამება დაიჯერო, თუკი რუკა იცი. იქ რომ ასეთი ფაქტი ყოფილიყო, თითქოს ქობალიამ არ გაუშვა ხალხი ენგურიდან, გამორიცხულია. ამ ინფორმაციას ჩვენამდე არ მოუღწევია - ჩვენც ხომ იქ ვიყავით."

ასე რომ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია პროკურატურის მტკიცება, რომ ვითომ ლოთი ქობალიას შენაერთები არ ატარებდნენ დევნილებს და ისინი იძულებულნი შეიქნენ, გამოსულიყვნენ სვანეთის გზით. რადგან კოდორის ხეობა აფხაზი სეპარატისტების მიერ იყო გადაკეტილი და გამაგრებული, სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა დამხმარე ძალების ჩასვლა სოხუმში.

საბრალდებო დასკვნაში რომ გაყალბებულია ჩვენება, ამას ისიც მოწმობს, რომ სვანეთიდან გადმოხულმა მოსახლეობამ ისევ ზუგდიდში მოიყარა თავი და არა სხვა ქალაქებში, როდესაც უკვე თავისუფლად შეეძლოთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში წასვლა. ე.ი. დევნილი მოსახლეობა მივიდა იქ, იმ ხალხთან, ვინც, როგორც საბრალდებო დასკვნა გვეუბნება, უშუალო დამნაშავე იყო მათ არგამოშვებაში. ეს ხომ აბსურდია და ბევრად უკეთესი იქნებოდა, ამის დამწერს საქართველოს გეოგრაფიული რუკა მაინც გადაეთვალიერებინა მაშინ, როდესაც ამ ცილისწამებას წერდა და ლოთი ქობალიას 346 კაცის დაღუპვაში სდებდა ბრალს.

### ბრალდება, რომელიც სასამართლოზე დაიბადა

ახლა მე მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო იმ მოსაზრებას, რომელმაც სასამართლო დარბაზში გაიელვა და, ჩემი აზრით, სწორედ სასამართლო დარბაზში დაიბადა, რადგან "საბრალდებო დასკვნაში" ერთი სიტყვაც არ წერია ამის შესახებ. კერძოდ იმას, რომ, თურმე, ოჩამჩირიდან და გალიდან წამოსული ლტოლვილების არშემოშვებაში ბრალი ედება ქობალიას.

ესეც ძალიან შორს დგას სიმართლისგან, რადგან ინგირის ხიდიდან ხალხის გადმოყვანას თვით ქობალიას შენაერთები უკეთებდნენ ორგანიზებას, ხოლო სამთავრობო ჯარების მეომრები დევნილ მოსახლეობას ასწრებდნენ და არც კი ფიქრობდნენ ლტოლვილთა უსაფრთხო გადმოყვანისთვის რაიმე ხელშემწყობი პირობა შეექმნათ.

მდ. ენგურის ხიდზე დევნილი მოსახლეობა რომ გადმოდიოდა, თავისი ჩვენებით დაადასტურეს მოწმეებმა: უჩაძე ზაურმა, ცატავა რუდიკმა, გაგუა რევაზმა, ხაცავა როინმა, გოროზია მერაბმა, გალდავა ბადრიმ, გიორგაძე პეტრემ, ნათაძე ნოდარმა, პაატაშვილმა თედომ , ქირია თორნიკემ, დიხამინჯია თენგიზმა და სხვ. და აღნიშნეს, რომ ლოთი ქობალია ყველანაირ დახმარებას უწევდა ლტოლვილებს, რომლებიც სვანეთის გზით მოდიოდნენ, გზავნიდა მათ ჩამოსაყვანად ავტობუსებს, მანქანებს და ა.შ. აგრეთვე, უსასყიდლოდ ახდენდა ლტოლვილთა დაპურებას, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ ზუგდიდში და სამეგრელოს რეგიონში მოიყარა თავი.

### საიდან მოიტანა ბრალდებამ დაქირავებული ჩეჩნები?

პატივცემულო მოსამართლენო! [illegible] "ბოევიკებს" [illegible]

სახელმწიფო ბრალდების მტკიცებით, თითოეულ დაქირავებულ "ბოევიკს" ყოველდღიურად 100 ამერიკულ დოლარს უხდიდნენ. ასევე, ნება დართეს საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვის, აწიოკებისა და დარბევის შედეგად დატაცებული ქონების მითვისებისა და გატანისა აფხაზეთის რეგიონის გავლით.

სულ ასეთი "ბოევიკი" 150 კაცი ყოფილა და 1993 წლის 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე მიუღიათ მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილ თავდასხმებში ხობი-სამტრედიის პლაცდარმზე, ე.ი. 13 დღის განმავლობაში იბრძოდნენ, რის შემდეგაც დატოვეს საქართველოს ტერიტორია.

ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ საბრალდებო დასკვნით (ტ. 1, ს.ფ.237), ეს "ბოევიკები ყოფილან 250-მდე, შემდეგ, ალბათ, "შერცხვათ" და ყველგან მოხსენიებულია 150 კაცი. ალბათ, იფიქრეს, ესეც ეყოფათო.

დავიწყებ უბრალო მათემატიკით: სულ იყო 150 ბოევიკი, თითოეულს უხდიდნენ 100 დოლარს 13 დღის განმავლობაში. გამოდის, რომ ამ ეპიზოდზე სულ დახარჯულია 195 ათასი დოლარი. დამეთანხმებით, საკმაოდ დიდი თანხაა. მოგახსენებთ, რომ ყველაფერი შევკრიბე, რაც საბრალდებო დასკვნით ჰბრალდება ლოთი ქობალიას და ამხელა თანხა მაინც ვერ მივიღე. სახელმწიფო ბრალდებამ ამ ეპიზოდში ვახტანგ ქობალიას ბრალი დადასტურებულად ჩათვალა და არგუმენტად მოიყვანა მოწმეთა: ზურაბ ბერდეხელიას, კარლო ფიფიას, ნონა ნასიძის, რამინ სურმავას და სხვათა ჩვენებები.

წარმოგიდგენთ ამ ეპიზოდთან დაკავშირებული ყველა მოწმის ჩვენებას, რომელიც დაიკითხა სასამართლო გამოძიების პერიოდში. პირველ რიგში მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ეპიზოდზე ძირითადად მუშაობდა გამომძიებელი კაპანაძე. თუ რატომ ვამახვილებ მასზე ყურადღებას, ამის შესახებ მოგვიანებით.

მოწმე **ბერდეხელია ზურაბი**, მძღოლი. გატანჯულმა მოწმემ განაცხადა - ერთი ათჯერ წამიყვანა კგბ-მ დაკითხვაზე, ჩხრეკაც ბევრჯერ ჩამიტარეს და მივეცი ჩვენებაო. საქმეში არსებობს მოწმე ზურაბ ბერდეხელიას მხოლოდ ერთი ჩვენება (ტ.8, ს.ფ. 8-13). სად გაქრა დანარჩენი ცხრა ჩვენება, დაუდგენელია.

მოგახსენებთ, რომ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება სრულიად განსხვავებული იყო სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებისგან. მოწმემ კატეგორიულად განაცხადა, რომ ჩეჩნები საერთოდ არ იყვნენ ავტობუსში.

მოწმე **ფიფია კარლო**, მძღოლი. მოწმე ფიფიას ჩვენებაც რადიკალურად განსხვავდებოდა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებისგან. კერძოდ, მოწმე ფიფიას მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში წერია, თითქოს ვინმე კუმარმა უთხრა მას, რომ იყო ჩეჩენი და აქ საბრძოლველად ჩამოვიდა [illegible]. როდესაც მოწმეს [illegible] წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომელიც მას გამომძიებელმა კაპანაძემ ჩამოართვა, ბ-ნი კარლო აღშფოთდა და განაცხადა - საერთოდ არ მილაპარაკია მე იმ ხალხთან, ვინც ავტობუსში იყო და ამ "კუმარს" არაფერი უთქვამს ჩემთვისო. როდესაც დავინტერესდით, თუ რატომ იყო ასეთი განსხვავებული ჩვენებები, მოწმემ განაცხადა - **მე არ წამიკითხავს ჩვენება, ისე მოვაწერე ხელიო.**

სწორედ ამიტომ განსხვავდებოდა ჩვენებები და კარლო ფიფიას არავითარი ჩეჩნები არ უნახავს, მით უფრო, დაქირავებული.

მოწმე **ნასიძე ნონა**, ზუგდიდის საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მან განაცხადა - გადმოცემით ვიცი, მითხრეს, რომ ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკები იყვნენო, და დაასახელა - რამინ სურმავამ მითხრა, მე თვითონ ისინი არ მინახავსო.

მოწმე **სურმავა რამინი**, ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგე. მოწმე სურმავა წინასწარ გამოძიებაში დაკითხა ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა **კაპანაძემ**. მის ჩვენებაში წერია, რომ ჩეჩნები იყვნენ საავადმყოფოში. სასამართლოზე მოწმე სურმავამ უარყო ეს ჩვენება და განაცხადა - გამომძიებელმა მიკარნახა და ისეც დავწერე, რომ ჩეჩნები და ჩრდილო კავკასიელები იყვნენო.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა მრავალი მოწმე, რომლებმაც ჭორის დონეზე იცოდნენ, რომ ხობსა და ზუგდიდში იყვნენ ჩეჩნები. ზოგიერთმა ისიც აღნიშნა, ყურები და ცხვირები ჰქონდათ წაჭრილი და ნამდვილად ჩეჩნები იქნებოდნენო, მაგრამ არავის უსაუბრია მათთან. არ შეიძლება ადამიანის მხოლოდ შეხედვით განაცხადო, რომ ის არის რუსი, აფხაზი, ჩეჩენი, ან იაპონელი, ან ჩინელი; ვიზუალურად ადამიანის ეროვნებას ვერ ამოიცნობ.

სასამართლო პროცესზე გამოძახებულ მოწმეთაგან არც ერთს არ უთქვამს, რომ ეს "ბოევიკები" დაქირავებულნი იყვნენ და, მე მაინტერესებს, საიდან მოიტანა სახელმწიფო ბრალდებამ, რომ თითო "ბოევიკს" ერთ დღეში 100 დოლარს უხდიდნენ?

**(გაგრძელება იქნება)**

ამქვეყნად

# ყველა უსამართლობა სიმართლის სახელით ხდება

**მარინე ალანია - ჯამბულ ბოკუჩავას ადვოკატი**

### რა საჭირო იყო სასამართლო?!

1996 წლის 1 თებერვლიდან დღემდე უდიდესი მუშაობა გასწია სასამართლო კოლეგიამ, მონაწილე მხარეებმა და განსასჯელებმა, რათა საქმეზე სასამართლო ძიებისას შეგვეკრიბა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ამა თუ იმ გარემოებას საქმეზე, შექმნიდა საფუძველს ობიექტური განაჩენის დასადგენად.

ბატონი სახელმწიფო ბრალმდებელი ოთხი განსასჯელიდან სამის მიმართ ითხოვს სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის გამოყენებას.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია - სახელმწიფოს უზენაესი კანონი. ამ კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნით "სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის".

ძნელი საფიქრებელია, რომ ბატონი სახელმწიფო ბრალმდებელი არ იცნობდეს საქართველოს კონსტიტუციას. თავის დასკვნით სიტყვაში მას არ უმხილებია ჯ. ბოკუჩავა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. მაშასადამე, მისი მოთხოვნა არ შეესაბამება მოქმედ კონსტიტუციას და არაკანონიერია.

ბატონი სახელმწიფო ბრალმდებელი კი, თითქოს უნდა დაასწროს კანონს, რომ სწორედ ეს განსასჯელები არ დაგვრჩეს როგორმე სწორედ ასეთი სასჯელის გარეშე, - ითხოვს სიკვდილით დასჯას, თუმც ასეთის მოთხოვნის საფუძველი არ მიუცია მისთვის საქმის მასალებს.

ბატონმა სახელმწიფო ბრალმდებელმა სიტყვასიტყვით გაიმეორა საბრალდებო დასკვნა, შექმნა გარეგნულად ილუზია, თითქოს რვათვიან სასამართლო ძიებას არავითარი ახალი სამხილი არ მოეპოვებინოს. თუ თავის სიტყვაში იგი არ შეაფასებდა ყველა მტკიცებულებას, როგორც დამადასტურებელს, ასევე მის საწინააღმდეგოს, მაშინ რა აზრი ჰქონდა ჩვენს მომქანცველ მუშაობას? თავისი სიტყვის შინაარსით მან გაგვცა პასუხი კითხვაზე და ნათელი გახადა, რომ მათ რვა თვის წინ უკვე იცოდნენ, რა სახის სასჯელი უნდა მოეთხოვათ სასამართლო პროცესზე!

### გამარჯვებულებს არ ასამართლებენ

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოში გაიმარჯვა ეროვნულმა ხელისუფლებამ და იგი, სრულყოფილი საარჩევნო კანონის საფუძველზე, იურიდიულად დაკანონდა არა როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფორმალური გამგრძელებელი, არამედ აგრეთვე 1918 - 1921 წ.წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე - კანონიერი ხელისუფლება, რომლის სათავეში არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია.

საინტერესოა, რას უწოდებს სახელმწიფო ბრალმდებელი, როცა ზ. გამსახურდიასა და მის ხელისუფლებას 1992 წლის 6 იანვრიდან უწოდებს სამშობლოს მოღალატეებს და ბანდფორმირებებს? ან რით ხსნის სახელმწიფო გადატრიალების მომწყობთა ქმედებებს? რა იურიდიულ საფუძველზე ჩამოყალიბდა სამხედრო საბჭო და ვისი სამართალმემკვიდრეა? ეს კითხვები ითხოვენ პასუხს, რადგან მთელი ბრალდება შემდგომში ამ საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული.

. 1991 წლის 22 დეკემბრის მოვლენებზე უამრავი მოწმე დაიკითხა, სასამართლო ძიების ყურადღების ცენტრში იყო ერთი ფაქტი - პირველმა ვინ დაიწყო სროლა. ვფიქრობ, ამ ფაქტის დადგენა ვერც ამ სასამართლოს და ვერც ისტორიას ვერ მისცემს საშუალებას, გაამართლოს ე.წ. ოპოზიციის "საპასუხო ცეცხლი". არსებულმა ხელისუფლებამ, თავისი დემოკრატიული ნებიდან გამომდინარე, დაუშვა უდიდესი შეცდომა, როცა დროულად, ნებისმიერი ძალისმიერი მეთოდით არ ალაგმა ხელისუფლების საწინააღმდეგო შეიარაღებული გამოსვლა. მოხდა შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალება. ოპოზიციის ლიდერთა ქმედებებში ცხადად გამოიკვეთა სსკ 65-ე, 73-ე მუხლების დისპოზიცია, უფრო მეტიც, ამ დანაშაულმა აქ სრულყოფილი, დამთავრებული სახე მიიღო. მაგრამ რესპუბლიკის პროკურატურაში არც აღძრულა საქმეები. "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ" და საჯაროდ ნათქვამი, რომ "ქვეყნად ყოველი უსამართლობა, მაინც სიმართლის სახელით ხდება" - მუდამ ძალაშია.

### ხელისუფლების ვაკუუმის ძიებაში

1991-92 წწ. მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას ჩვენ ვერც სასამართლო ორგანოებს ვთხოვთ, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა შემდგომ პერიოდში არჩეულ პარლამენტს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი თვალნათლივ დგას დღის წესრიგში, ორივე მოწვევის (1992 წ. და 1995 წ.) პარლამენტი ჯიუტად დუმს. ეს საკითხი, ეტყობა, ჯერჯერობით ვეტოდადებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაირკვეოდა ვინ იცავდა კანონს და კანონიერებას და ვინ ეურჩებოდა მას. სწორედ ამ კოორდინატებში კვეთენ ერთმანეთს სამართლისა და პოლიტიკის ვექტორები, სწორედ ამიტომ აქვს ამ სისხლის სამართლის საქმეს პოლიტიკური სარჩული.

საბრალდებო დასკვნით, "ზვიად გამსახურდიას და მის თანამზრახველთა საქართველოდან გაქცევის შემდეგ შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი". ბრალდების მხარე აქაც არ ცდილობს, რეალურად წარმოაჩინოს სურათი: ზ. გამსახურდია და იმჟამინდელი ხელისუფლება კი არ გაიქცა, არამედ გააქციეს და მათ არ მისცეს საშუალება, ემართათ სახელმწიფო. არავითარ ხელისუფლების ვაკუუმს ადგილი არ ჰქონია, რადგან ჯერ კიდევ 1991 წლის 2 იანვარს, როდესაც გამსახურდია თბილისში იყო, სამხედრო საბჭო აქვეყნებს, რომ საქართველოში ძალაუფლებას ხელში იგდებს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო. მაშ სადაა ეს ვაკუუმი, ეს სიცარიელე? ფაქტი ღაღადებს, რომ ამ სიცარიელის ამოვსების მიზნით კი არ აიღო მართვა-გამგეობა ხელში სამხედრო საბჭომ - როგორც საბრალდებოშია მითითებული (იხ. ტ.3.2, ს.ფ.667), არამედ იარაღით დაამხო არსებული ხელისუფლება და აიღო ხელში სახელმწიფო ძალაუფლება.

**(გაგრძელება იქნება)**

# აბაშელები მოითხოვენ სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას

არსებული ხელისუფლება კვლავ აგრძელებს რეპრესიებს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. მისი სადამსჯელო აპარატის სისასტიკე იმ სამარცხვინო განაჩენებიდანაც ჩანს, რომელიც გამოაქვს უზენაეს სასამართლოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე განსასჯელების მიმართ.

პეტრე გელბახიანის, ირაკლი დოკვაძისა და ბადრი ზარანდიას სასიკვდილო განაჩენს ემატება სხვა პოლიტპატიმართა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის მოთხოვნა, რაც შეშფოთებას იწვევს. ამას წინათ სახელმწიფო ბრალმდებელმა კიდევ სამი პოლიტპატიმრის - ჯამბულ ბოკუჩავას, ზვიად ძიძიგურისა და ვახტანგ ქობალიას სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს სასამართლო პროცესი პროცესუალური ნორმების, პატიმართა და ადვოკატთა უფლებების უხეში დარღვევით მიმდინარეობდა. სასამართლომ ვერ შეძლო დაემტკიცებინა განსასჯელთა ბრალეულობის საკითხი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ პროკურორის მოთხოვნა ზემოდანაა ნაკარნახევი და პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად.

ჩვენ, აბაშის მოსახლენი, აღშფოთებულნი ვართ იმ სისასტიკით, რომელსაც რეჟიმი იჩენს ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიმართ. ხელისუფლება ცილისმწამებლური და უზნეო მეთოდებით ცდილობს, ეროვნული ინტერესებისთვის თავდადებული ადამიანები სამშობლოს მოღალატეებად შერაცხოს და ამის საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს მათ.

მოვითხოვთ, შეწყდეს პოლიტიკური ანგარიშსწორება და გაუქმდეს ის სამარცხვინო სასიკვდილო განაჩენები, რომელიც გამოტანილი იქნა ამ ბოლო წლებში და რომელთა რიცხვიც დღითი დღე კატასტროფულად იზრდება.

**გრიალა გვილავა, ნანა ესაკია, ნონა ესაკია, მიმოზა ჯანჯღავა, ქეთევან გვილავა, მედეა გვილავა, ვახტანგ ქორიძე, გოჩა სიგუა, რეზო ბოჯგუა, რამინ თოფურია, ელგუჯა ქოიავა, ზინა ქოიავა, თემურ გაბელაია, თარგიზ ჯალაღონია, თემურ კორძახია, ნატო მიმინოშვილი, ზურაბ მელია, ვახტანგ ცომაია, ელგუჯა ახობაძე, მარგო მავგულიძე, ნუგზარ არსენიძე, ამირან ახობაძე, ნათელა ჯიშკარიანი, ჯემალ თოფურია, არჩილ მელია, ნათელა კუცია, აკაკი გაბელაია (სულ 100-მდე ხელმოწერა)**

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

გამაოცა იმ ფაქტმა, რომ თუმცა ეს საარჩევნო კანონს ეწინააღმდეგებოდა, მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება, ხმა მიეცათ იმ უბნებში, სადაც ისინი სიაში არ შედიოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ ადამიანს ჰქონდა შესაძლებლობა, ბევრ სხვადასხვა უბანში მიეცა ხმა. ასე რომ, კანდიდატებს, ან თავად პრეზიდენტს ამ დამატებითი ხმების შეგროვება თავის სასარგებლოდ შეეძლოთ. მეორე რამ, რაც ნიშანდობლივად განსხვავდებოდა 1995 წლის არჩევნებისგან იყო ის, რომ ოპოზიციის კანდიდატების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ოპოზიციის მთავარი კანდიდატისა (მანუკიანი), ბევრად მცირერიცხოვანნი იყვნენ და საერთოდ ძლივსღა სურდათ კრიტიკული კომენტარების გაკეთება. მათ ყველას არქეტიპული საბჭოთა სახეები ჰქონდათ. ეს სახეები არაფრის მთქმელი იყო. შეკითხვაზე, აქვთ თუ არა მათ რაიმე პრობლემა, ისინი პასუხობდნენ, რომ ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს და საჩივრები არ შემოსულა. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს მათ აკონტროლებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის არჩევნებთან შედარებით, 1996 წლის არჩევნებზე ბევრად მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული საერთაშორისო ორგანიზაციათა მხრიდან, წინასწარ და საბოლოო შედეგებს შორის უზარმაზარი სხვაობა აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ მანუკიანმა და ოპოზიციის ძალებმა ორჯერ მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე პეტროსიანმა.

ქართველები და სომხები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათ განსხვავებული ტრადიციები აქვთ. განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ რუსეთის მიმართაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ სისტემებს შორის უამრავი მსგავსება არსებობს. დიდია მსგავსება ადამიანის უფლებების სფეროშიც. დამოკიდებულება პოლიტპატიმართა მიმართ თითქმის იდენტურია. პატიმრებზე ზემოქმედების მეთოდები - ფიზიკური შეურაცხყოფა, წამება, ცემა, ფსიქოლოგიური ზეწოლა არამხოლოდ ბრალდებულებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც კი - ორივე ქვეყანაში საოცრად ჰგავს ერთმანეთს.

კორ. - ბატონო ალმონდ, თქვენ "დიქტატურების სპეციალისტი" ბრძანდებით, შესწავლილი გაქვთ რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ალბანეთის დიქტატორული რეჟიმების ისტორია. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენ ხანს შეიძლება იარსებოს ხელისუფლებამ, რომლის ძალაუფლება შიშველ ძალადობაზეა დაფუძნებული?

მ.ა. - ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც დგას ხოლმე ასეთი სისტემების წინაშე, იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად ლიად მოქმედებენ ისინი - ამოფარებულნი არიან თუ არა დემოკრატიის ფარდას და ლიტონ, მაგრამ მჟღერ სიტყვებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ მსხვერპლთ ისინი ძლიერებად ეჩვენებიან და არიან კიდევაც ძლიერნი. მაგრამ, ამავე დროს, თვით ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებაც კი საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს, რათა შეარყიოს სისტემა. მაგალითად, ასეთი ფაქტორი შეიძლება გახდეს დიქტატორის ავადმყოფობა. ტოტალიტარული სისტემა, როგორც წესი, დამოკიდებულია დიდ ლიდერზე, რომელიც არის თანამდებობათა და ფინანსური ქსელის ცენტრი და ერთადერთია, ვინც ბალანსს ამყარებს მმართველი ჯგუფის ცალკეულ ფრაქციებს შორის. თუ იგი მოკვდება ან ავად გახდება, მაშინ სისტემა დეზორიენტირებული გახდება და დაიშლება შიდაწინააღმდეგობების გამო. ასეთი რამ მოხდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირში - ლიდერების გაუთავებელმა ავადმყოფობამ საბოლოოდ დაარღვია მმართველი რეჟიმის მონოლითური მთლიანობა. სხვა საქმეა, რომ კომუნისტურმა მმართველმა კლანმა, საუბედუროდ, მალევე აღიდგინა დაკარგული პოზიციები. შესაძლოა, რაღაც ეტაპზე, მათ პროვოცირებაც კი გაუკეთეს ნგრევას, რათა წინასწარდაგეგმილ არეულობაში თავად ჰქონოდათ უპირატესობა, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, პროცესი დაწყებულია და მას, ალბათ, ველარაფერი შეაჩერებს.

სხვა ასეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორი რეჟიმის ნგრევისთვის შეიძლება გახდეს ეკონომიკური ცვლილებები. აქ დიქტატორს აუცილებლად შეექმნება სერიოზული პრობლემები. ის დილემის წინაშე აღმოჩნდება - ერთი მხრივ, ეკონომიკური რეფორმის გატარების აუცილებლობა (ვინაიდან ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ინარჩუნებს ძალაუფლებას ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის პირობებში), მეორე მხრივ კი, ძალაუფლების შესუსტება, რაც ბუნებრივად მოჰყვება ქვეყნის გადაყვანას ნორმალურ ეკონომიკურ საფუძვლებზე.

ლიდერმა, რომელსაც სურს ცხოვრებაში გაატაროს ეკონომიკური რეფორმა და ამავე დროს მყარად დარჩეს ძალაუფლებაში, შეიძლება აღმოაჩინოს, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგანაც სანამ კორუფცია არსებობს ქვეყანაში და მით უმეტეს არსებობს კორუმპირებული პოლიცია, არ შეიძლება არსებობდეს ნორმალური საბაზრო ეკონომიკა. ვინც მოინდომებს, რომ ქრთამის დაუსჯელად აღების საშუალება და სხვა ამგვარი მახინჯი პრივილეგია წაართვას პოლიციას, მის მტრად იქცევა. ბევრი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ისინი სტალინიზმის დანატოვარი მემკვიდრეობის თანახმად ცხოვრობენ. სტალინმა წინასწარგამიზნულად შექმნა სპეციფიკური სისტემა - ეკონომიკურად უსამართლო რაციონალური სისტემა. საბჭოთა კავშირში აწარმოებდნენ პროდუქციას, რომლის მოპარვაც ძალიან ადვილი იყო. ეს მანკიერ წრეს ქმნიდა, სადაც საბოლოო ჯამში ყველა მოქალაქე კანონდამრღვევი ხდებოდა და, აქედან გამომდინარე, როგორც პოტენციური განსასჯელი, ადვილი სამართავი იყო. რესპუბლიკების ლიდერებს იგივე მანკიერი პრინციპის მეშვეობით სურთ თავიანთი ძალაუფლების განმტკიცება. ასე რომ, დაბალი ხელფასები და არასწორი საგადასახადო სისტემა სულაც არ არის უვნებელი შეცდომები. მაგრამ, საბედნიეროდ, საბჭოთა მოქალაქეების მთელმა თაობებმა იმდენი იპარეს, რომ მოსაპარიც აღარაფერი დარჩა. ამიტომ რესპუბლიკების მმართველებმა განუწყვეტლივ უნდა იფიქრონ, თუ როგორ მოახერხონ თანხების ამოღება მდიდრებისგან, რომ თავიანთი მხარდამჭერები - რეჟიმი და პოლიცია დააფინანსონ. ასე იქმნება ის ჯადოსნური წრე, რასაც ჩვენი მარქსისტი მეგობრები ობიექტურ წინააღმდეგობას უწოდებენ. პატარა დიქტატორებს სჭირდებათ ფული, რომ რეჟიმი შეინარჩუნონ, ფულის შოვნას სჭირდება ეკონომიკური რეფორმა. ეკონომიკური რეფორმა კი თავად რეჟიმს ემუქრება - მოკლედ, გამოსავალი არ ჩანს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეზე დღეს თითქოს მეტად მძიმე სიტუაციაა (კომუნიზმის დასასრულის ყველა იმედი დაიკარგა, დასავლეთის დახმარების ილუზიები გაქარწყლდა და ბოლო არ უჩანს ტირანიას), შეიძლება არც ისე ცუდად იყოს საქმე. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ცა გარიჟრაჟამდე მოიქუფრება და ის, რაც დაუსრულებელ წყვდიადად გეჩვენება, არის სულ რამდენიმე ხანმოკლე წამი განთიადის წინ.

კორ. - დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

# შეხვედრა გერმანიის საელჩოში

23 ოქტომბერს საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გერმანიის საელჩოში შეხვდნენ გერმანიის ელჩს საქართველოში, ბატონ ნორბერტ ბაასს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ირაკლი ოჩიაური - მხატვარი, პროფესორი; ლია ელიავა - კინომსახიობი, სახალხო არტისტი; ზურაბ ძოწენიძე - ქიმიკოსი, თსუ პროფესორი; ლია ანდღულაძე - ფილოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, მაია კერესელიძე - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციისა (I) და "საერთაშორისო ამნისტიის" ინდივიდუალური წევრი; ნოდარ უღრელიძე - რადიოფიზიკოსი, პროფესორი, ნიუ-იორკის აკადემიის საპატიო წევრი; ვახტანგ ქართველიშვილი - თეატრმცოდნე; ნონა დოჭვირი - ფილოლოგი, გერმანისტი, ბეჟან ჯავახია - ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გაზეთის "მარჯი" რედაქტორი; ვიქტორ კახნიაშვილი - ფილოლოგი, გერმანისტი; ნოდარ ჯალაღონია - პოეტი, გაზეთის "ლაშარის გორი" მთავარი რედაქტორი; ჯამბულ წიკლაური - პედაგოგი. შეხვედრის მონაწილეებმა ელჩს გადასცეს საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვის ტექსტი და ისაუბრეს საქართველოში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებისა და სიკვდილმისჯილი პოლიტპატიმრების შესახებ.

---

**შეცდომის გასწორება**

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის პუბლიკაციაში - "შეხვედრა აშშ საელჩოში", ტექნიკური მიზეზების გამო, დაიკარგა შეხვედრის ორი მონაწილის გვარი: ბორის ბერულავა - ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ირაკლი კენჭოშვილი - მწერალი,კრიტიკოსი.

---

## TAVISUPALI SAKARTVELO

### (FREE GEORGIA)

## №38 (in brief)

### 29 October - 4 November 1996

On October 16 in the Course of the Ongoing Case (#7495927) Hearing at the Supreme Court the Lawyers Pronounced their Speeches of Defense

*Otar Pankvelashvili - the* lawyer of Vakhtang Kobalia

## I am putting a motion about release of Vakhtang Kobalia

Honorable Court Board, the Prosecution considered the slanders with which is so richly saturated Case #7495927 brought against Loti Kobalia and others insufficient and made a special note in its indictment : "As a result of the conspiracy of the bands who had blocked the retreat roads from Abkhazia the governmental troops and refugees including elderly people and children were induced to escape by walking via Svanetia under the most unfavorable climatic conditions which led to the death of 346 persons. The refugees lost all their belongings wile the soldiers their armament and ammunition."

That all above said is a sheer lie was confirmed by many witnesses who ad given their testimonies at the Court. The witness Nodar Natadze stated that wen Kodori is blocked by the enemy it is impossible to arrive to Ochamchire to leave alone Zugdidi. Therefore, the only route to reach Zugdidi lies via Svanetia. "When I was reading, that Kobalia's people blocked the road and for this reason the people could not be evacuated, I could not help asking myself whom this misinformation was supposed to be fed to.

"Another charge was born right in the Court Hall since not a single word about it could be found in the "Indictment" : according to this charge Vakhtang Kobalia is personally blamed for not letting the refugees to Zugdidi. In reality the detachments of Kobalia were organizing the evacuation of the refugees while the soldiers of the governmental troops were running ahead of the displaced population and did not bother themselves with the thoughts of the safe evacuation of the refugees. This was confirmed by the witnesses Zaur Uchadze, Rudik Tsatava, Nodar Natadze, Tedo Paatashvili, and others. They stressed tat Loti Kobalia was providing all possible assistance to the refugees who were escaping via Svanetia. He was sending the busses, cars etc. to transport them and was taking care of free distribution of food to them. It was Zugdidi and Samegrelo Region where the absolute majority of refugees found their shelter.

The state prosecution accused Mr. Vakhtang (Loti) Kobalia in organization of transportation of hired "Boevicks" from Abkhazia, Chechnya and North Caucasia from Ochamchire to Zugdidi.

Allow me to inform you tat in accordance with indictment the number of these "boevicks" was about 250, then may be they got "Ashamed" and in all other documents this number was reduced to 150 persons. It seems, the prosecution considered this figure enough to produce the desirable effect. In relation to this episode the witness Zurab Berdekhelidze stated that he was taken to the KGB for interrogation at least ten times, many times he was subjected to search and eventually he had given in and gave the required testimony. There is only one his testimony in the Case materials. Were are the remaining nine testimonies is unknown. I would like to inform you tat the testimony given in the course of the preliminary investigation dramatically differed from the testimony given during the Court Hearing. The witness categorically declared, that there were no Chechens at all in the bus. The testimonies of the witness Karlo Pipia also radically differ from the ones given in the course of the preliminary investigation. When is testimonies given in the course of the preliminary investigation were read e got excited and stated: " I have signed the testimony without reading it". The witness Roman Surmava refused from is testimony given in the course of the preliminary investigation and stated: "The investigator dictated and I wrote tat there were Chechens and North Caucasians.

"None of the witnesses called to the Court testified that these "boevicks" were hired and I would like to know were had the information of the prosecution that each of them was paid $100 per day come from?

*Marine Adamia* - The Lawyer of Jambul Bokuchava

## All injustice in the world is done under the name of justice

On August 24, 1995 the Parliament of Georgia adopted the Constitution of Georgia - the Supreme Law of the State. Article 15 of this Law is formulated in the following way: "The life is an inviolable right and is protected by the Law. The special form of punishment - death until its abolition can be considered for the extremely severe crime directed against the life protected by the organic law".

The State Prosecutor in is final speech did not exposed J. Bokuchava in committing extremely severe crime directed against the life. Therefore is demand of the supreme punishment for Mr. Bokuchava does not comply with the Constitution in effect and is illegal.

Mr. State Prosecutor word by word repeated the indictment thus creating the illusion as if eight month long Court Investigation failed to find any new materials. If in his final speech the prosecutor did not estimate all proofs both confirming and rejecting ones what was the sense of our eight month long exhausting work? The contents of is speech provide the answer - the prosecution already was aware of what kind of punishment to demand as early as 8 months ago!

• In the elections of October 28, 1990, national authorities came to power in Georgia. Mr. Zviad Gamsakhurdia was elected as the Chairman of the Supreme Council. I wonder what is the State Prosecutor is based on when from January 6, 1992 he qualifies the authorities of Mr. Zviad Gamsakhurdia as traitors and bandit formations? Or how he is explaining the actions of those who had organized the coup? On what juridical basis was formed the Military Council and whose juridical successor was it? These questions require the answers since the whole scheme of prosecution is related to the resolution of these questions.

Numerous witnesses of the events of December 22, 1991 have been interrogated, and the Court focused on only one issue - who was the first to open fire. I think stating this fact will never give the Court or history the opportunity to justify the "reply fire" of the so-called opposition. The existing authorities proceeding from their democratic will made the greatest mistake when they had not put the end using any forceful means to the armed confrontation of the opposition. As a result a military coup occurred. The actions of the leaders of the opposition clearly fall under Articled 65 and 73 of the Criminal Code of Georgia. Moreover, this crime acquired comprehensive finished character. However no charges were brought in the Republican Prosecutor's Office.

We cannot ask Court bodies for the political assessment of the events of 1991-92, but such assessment had to be made by the Parliament which was elected after the coup. Nevertheless the Parliament is stubbornly keeping silence. It seems this issue is yet vetoed. Otherwise it would be clarified who was defending the law and who was violating it. The vectors of justice and policy cross exactly within these coordinates and for this very reason this Case has a political lining. in accordance with the indictment "After Zviad Gamsakhurdia and his supporters left Georgia the power vacuum was created in the country". The prosecution in this case also does not attempt to provide a truthful picture - Zviad Gamsakhurdia and the authorities of tat period did not run away, they were exiled and were not allowed to rule the country. No power vacuum ad ever created since as early as January 2, 1996 when Gamsakhurdia was still in Tbilisi the Military Council made statement tat it was taking power in Georgia. Where was the vacuum of power I wonder? The facts are crying tat the Military Council did not come to power to fill this vacuum, on the contrary, it ad overthrown the existing authorities to usurp the power.

**(to be continued)**

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 2/4-851
იბეჭდება ს/ს კეგელში